

ნ. ალექსანდრია



ა. ჩაიკოვსკაია

# საქართველოს მოჭადრაკეთა ტრიუმფი



1968

**აშხაბადი**, 2 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა XXVIII ჩემპიონატში გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

როგორც მოსალოდნელი იყო, ნ. ალექსანდრიამ შესანიშნავად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და ზუსტი სვლებით გამარჯვებას მიაღწია ლ. რუდენკოსთან პარტიაში. ერთობ საჭირო ქულა მოიპოვა საქართველოს მეორე მოჭადრაკემ ა. ჩაიკოვსკაიამ, რომელმაც დაამარცხა კ. ზვორიკინა. მ. სანაძემ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა თ. ბელოვასთან.

ო. კაცკოვამ მოუგო თ. გოლოვეის, ი. გურფინკელმა — ზვორიკინას. ვ. ბორისენკო — ტ. ზატულოვსკაიას, ნ. მედიანიკოვა — მ. შულისა და ზატულოვსკაია — ნ. რუსინკევიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

## საკავშირო ჩემპიონატში I-II ადგილები გაიყვეს ნ. ალექსანდრიამ და ა. ჩაიკოვსკაიამ

ამრიგად, ბოლო ტურის წინ, რომელიც დღეს გაიმართა, 12,5-12,5 ქულით ლიდერობა ხელთ იგდეს ნ. კონოპლიოვამ, ალექსანდრიამ და ჩაიკოვსკაიამ.

XIX ტურში ალექსანდრიამ საინტერესო ბრძოლის შემდეგ დაამარცხა კონოპლიოვა. გაიმარჯვა ჩაიკოვსკაიამაც (მედიანიკოვასთან).

ამრიგად, I-II ადგილები გაიყვეს საქართველოს მოჭადრაკეებმა ალექსანდრიამ და ჩაიკოვსკაიამ — 13,5-13,5 ქულა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის გამოსავლენად ალექსანდრია და ჩაიკოვსკაია ითამაშებენ მატჩს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 217 (3701)

1968 წ. 3 ნოემბერი, კვირა. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных общества и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

### ოლიმპიური მოზაიკა

## ვეტერანები გამოფენაზე

მეხიკოში გახსნილ გამოფენაზე — „ოლიმპიური ხელოვნების ისტორია" ერთმანეთს შეხვდნენ სპორტის სახელგანთქმული ვეტერანები, წინა წლების ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები. ეს დემონსტრაცია თამაშების სპორტული ნაწილის ბუნებრივ გაგრძელებად მოგვევლინა.

ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ გამოფენაზე მობრძანებით ჯ. კუცმა, ჯ. ოუენსმა, ჯ. ვაისმიულერმა, პ. მაკ-კორმიკმა, ფ. ბლანკერს-კოენმა, ა. დ'ორიოლმა სიცოცხლე შთაბერეს ისტორიული ღირებულების მქონე საბუთებსა და ექსპონატებს: აფიშებს, ხარეკლამო ნახატებს, შესასვლელ და მოსაწვევ ბილეთებს... ეს დოკუმენტი 1896 წლისა და მომდევნო ოლიმპიადების რელიქვიები გახლავთ.

ოლიმპიელები განსაკუთრებული ყურადღებით გაეცნენ პიერ დე კუბერტენის წიგნებსა და წერილებს ამ დიდი მოღვაწის ავტოგრაფებით. ეს იშვიათი საბუთები გვახსენებენ იმ ბრძოლას, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში აწარმოებდა ოლიმპიური იდეალების გამარჯვებისთვის ეს დიდი ფრანგი ჰუმანისტი.

## რულანტსის გადაწყვეტილება

ცნობილმა ბელგიელმა მძლეოსანმა გ. რულანტსმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენის საუკეთესო ოსტატად, განაცხადა, რომ ამიერიდან თავს ანებებს სტიპლ-ჩეზს.

— ამიერიდან, — თქვა 33 წლის რეკორდსმენმა, — მე მთლიანად გადავდივარ სტაიერულ დისტანციებზე და მარათონზე. გაისად ათენის ევროპულ ჩემპიონატში 10.000 მეტრზე რბენასა და მარათონში ვიასპარეზებ.

რულანტსმა დაამატა, რომ იგი უკმაყოფილოა მეხიკოში თავისი გამოსვლით.

— მე კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ ბედმა ზურგი შემაქცია. როგორც ჩანს, ვერ შევძელი მაღალმთიანეთთან „დამეგობრება".

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ რულანტსი მთლიანად არ იჩრის უკან დასახევ გზას — თავისი სენსაციური განცხადება მან ასე დაამთავრა:

— შესაძლოა, მე მაინც შევეცადო სტიპლ-ჩეზში მსოფლიო რეკორდის დაბრუნება. მაგრამ თუ მე ამ უკანასკნელ ცდას დავაპირებ, ეს მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მოხდება.

### დეპეშა ორჯონიკიძიდან

## სანოემბროდ...

ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სანოემბროდ შეასრულეს ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების წლიური გეგმა-ვალდებულება. გეგმის ზევით მომზადებულია 1 სპორტის ოსტატი, 1 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 8 პირველთანრიგოსანი და 40 მეორეთანრიგოსანი.

ა. მაჭავარიანი,
რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

# ბრაზილიაში სათამაშოდ

როგორც ცნობილია, წლეულს შესრულდა 10 წელი ბრაზილიელ ფეხბურთელთა ბრწყინვალე გამარჯვებისა მსოფლიოს ჩემპიონატში. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად დედამიწის უდიდეს სტადიონზე — რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანაზე" 6 ნოემბერს გაიმართება ამხანაგური მატჩი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებსა და ბრაზილიის გუნდს შორის.

საბჭოთა ფეხბურთელებიდან მსოფლიოს ნაკრებში შეყვანილი არიან ლ. იაშინი (მოსკოვის „დინამო"), ა. შესტერნიოვი (ცსკა) და ს. მეტრეველი (თბილისის „დინამო").

იაშინი სტუმრად იმყოფებოდა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებზე და იქიდან გაემგზავრა ბრაზილიას, გუშინ კი ბრაზილიას გაფრინდნენ შესტერნიოვი და მეტრეველი.

ამ ამხანაგური მატჩის მასპინძლებმა — ბრაზილიელებმა ძალების შემოწმების მიზნით ითამაშეს მექსიკელებთან. ყველასთვის მოულოდნელად გაიმარჯვეს მექსიკელებმა — 2:1.

## მეკონსერვეებთან

[კ]ომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა გორელ მეკონსერვეთა შიდასაკომბინატო საიუბილეო სპარტაკიადა, რომელშიც 400-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა. პროგრამაში 10 სახეობა შედიოდა. საერთო პირველობა წილად ხვდა მთავარ საამქროს.

დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ ჭადრაკში. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა № 1 საწყობის მუშამ ს. ეგნატაშვილმა.

ფიზკულტურულმა საბჭომ მოაწყო ტურისტული გადასვლა მარშრუტით: გორი — უფლისციხე — გორი. ლაშქრობის დროს გაიმართა შეჯიბრება ტურისტულ მრავალჭიდში.

ვ. გოზალიშვილი.
გორი. (ჩვენი კორ.).

## იღბლიანად...

**გორი**, 2 ნოემბერი. დღეს აქ დაიწყო მოზარდ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. გორის ჯგუფში თამაშობენ უნგრეთის, ფინეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები.

პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ფეხბურთელები.

ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა.

ეს მატჩი ამავე დროს წარმოადგენდა შესარჩევ შეჯიბრებას უეფა-ს 1969 წლის ტრადიციული ევროპული პირველობისთვის (ამ გუნდების მეორე შესარჩევი შეხვედრა გაიმართება ფინეთში).

*მახარაძე*, 2 ნოემბერი. დღეს აქ დაწყებულ საერთაშორისო ტურნირში საქართველოს მოზარდ ფეხბურთელთა ნაკრებმა დაამარცხა აზერბაიჯანის გუნდი — 5:1.

## უკანასკნელი საათი...

◆ **ლუგანო**, 2 ნოემბერი. მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიოს XVIII ოლიმპიადის მთავარი ფინალური ტურნირის VIII ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები — სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს საბჭოთა ლიდოსტატებმა — 2,5:1,5. ისინი დამაჯერებლად განაგრძობენ ლიდერობას — 24,5 ქულა აქვთ. იუგოსლავიელები 20 ქულით II ადგილზე არიან.

## ა. მეტრეველი — ს. ლიხაჩოვი და გ. ბაკშეევა — მ. ჩუვირინა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონები

## თბილისის სპორტული ცისკარი

**ფეხბურთი.** „სინათლის" სტადიონი (აკ[ა]ლის გზატკეცილი). დღეს: საქართველოს პირველობა. „სინათლე" (თბილისი) — „ფეიქარი" (წულუკიძე). დასაწყისი 13 ს. „ლოკომოტივის" სტადიონი. 4 ნოემბერი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. II ჯგუფის III ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს.

**ცურვა.** ზამთრის დახურული აუზი. დღეს აუზის დირექცია აწყობს საბონემენტო ჯგუფებში მომეცადინეთა შეჯიბრებას სპეციალურ პრიზებზე. ტურნირში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. დასაწყისი 8 ს.

**ჩოგბურთი.** „დინამოს" კორტები. დღეს: სსრ კავშირის პირადი პირველობის ფინალური შეხვედრები. დასაწყისი 11 ს.

## ჩემპიონები



სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში — კიევის „დინამო".



# ბუმერანგი...

მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ცსკა და კიროვაბადის „დინამო". გაიმარჯვეს არმიელებმა ანგარიშით 1:0.

# ბავშვი გადაარჩინა

რუსთავის „მეტალურგის" ფეხბურთელთა გუნდის ერთ-ერთ საუკეთესო მცველს ფირუზ რეხვიაშვილს მონაწილეობა არ მიუღია ხუთ კალენდარულ მატჩში. იგი არც მსაჯს გაუძევებია მინდვრიდან უწესრიგობისთვის და არც დაშავებულა. ფეხბურთელის ეს „დასვენება" ხაპატიო მიზეზით იყო გამოწვეული.

... რუსთაველი ფეხბურთელები „მეტალურგის" სტადიონის ტრიბუნების ქვეშ არსებულ ოთახებში ისვენებდნენ. ფ. რეხვიაშვილს სიცხე ჰქონდა და თავს ცუდად გრძნობდა, მაგრამ როცა გარედან ქალის კივილი მოესმა, ოთახიდან გამოვარდნა უველას სწორედ მან მოასწრო.

2 წლის ზიჭუნა კობა გეგიაძე დედას წამით უმეთვალყუროდ დაეტოვებინა. ბავშვი სტადიონის გვერდით ჩამომდინარე ღრმა არხისკენ წაბაჯბაჯდა და მოულოდნელად წყალში გადავარდა.

ეს შენიშნა იქვე მომუშავე მ. ალიევამ და უვირილი მორთო. სასწრაფოდ იქვე გაჩნდა დედაც, მაგრამ ბავშვი უკვე აღარ ჩანდა.

ფეხბურთელებშა შორის თვალი მოჰკრეს, თუ როგორ ამოატივტივა წყალმა ბავშვი. ფ. რეხვიაშვილი სირბილით გაექანა იქით, გადახტა წყალში, ნაპირზე ამოიყვანა ბავშვი და პირველი დახმარებაც მანვე აღმოუჩინა ადგილზე. შემდეგ პატარა კობა საავადმყოფოში წაიყვანეს, ხოლო ავადმყოფი ფეხბურთელი კიდევ უფრო გაცივდა და... სწორედ ამიტომ გააცდინა 5 კალენდარული მატჩი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ფირუზ რეხვიაშვილი და მის მიერ გადარჩენილი კობა გეგიაძე.

ფოტო და ტექსტი
რ. გაბრიეიძისა.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.



სსრ კავშირის პირველობა

# მინდორზე იყვნენ

მინსკი. „დინამოს" სტადიონი. 30 ოქტომბერი.

„დინამო" (მინსკი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 4:0 (2:0).

„დინამო": კატეევა, კუზნეცოვი, ზარემბო (სლოვაკი), რიომინი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, ტოლეიკო, ვასილიევი, მუსტიგინი, მალოფეევი, სახაროვი (ადამოვი).

„ტორპედო": გრძელიშვილი (კოტრიკაძე), წვერავა, ებრალიძე, შერგელაშვილი, ზარია, ოქროპირაშვილი, ასიტაშვილი, ნაჭყებია, ხერხაძე, ვეკუა (გადელია), ჭითანავა.

გოლების ავტორები: ვასილიევი, ტოლეიკო, მალოფეევი, არზამასცევი.

მსაჯი ს. არხიპოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 3:3.

## გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი I ჯგუფი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 1 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 36 | 30 | 4 | 2 | 89—18 | 64 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 34 | 25 | 6 | 3 | 71—18 | 56 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 36 | 21 | 9 | 6 | 53—25 | 51 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 35 | 20 | 8 | 7 | 66—31 | 48 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 34 | 17 | 7 | 10 | 47—35 | 41 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 34 | 14 | 9 | 11 | 54—45 | 37 |
| „დინამო" (მინსკი) | 33 | 14 | 9 | 10 | 46—38 | 37 |
| ასკ (როსტოვი) | 35 | 13 | 10 | 12 | 50—47 | 36 |
| „დინამო" (თბილისი) | 35 | 14 | 8 | 13 | 44—48 | 36 |
| ცსკა | 35 | 13 | 7 | 15 | 43—39 | 33 |
| „კრ სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 35 | 11 | 9 | 15 | 45—64 | 31 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 36 | 10 | 11 | 15 | 40—60 | 31 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 36 | 11 | 6 | 19 | 41—50 | 28 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 35 | 11 | 6 | 18 | 37—52 | 28 |
| „არარატი" (ერევანი) | 35 | 10 | 7 | 18 | 49—63 | 27 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 34 | 10 | 7 | 17 | 40—58 | 27 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 35 | 9 | 8 | 18 | 34—57 | 26 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 35 | 6 | 12 | 17 | 32—44 | 24 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 35 | 8 | 5 | 22 | 29—67 | 21 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 35 | 4 | 9 | 22 | 32—83 | 17 |

## გათამაშების ცხრილი

„ა" კლასი II ჯგუფი

III ქვეჯგუფი

მდგომარეობა 3 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 38 | 23 | 10 | 5 | 55—19 | 56 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 38 | 17 | 15 | 6 | 29—16 | 49 |
| „ვოლგა" (გორკი) | 38 | 18 | 12 | 8 | 52—25 | 48 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 38 | 19 | 9 | 10 | 51—28 | 47 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 37 | 18 | 10 | 9 | 49—28 | 46 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 38 | 14 | 15 | 9 | 38—31 | 43 |
| „დინამო" (ბათუმი) | 38 | 12 | 14 | 12 | 39—35 | 38 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 38 | 11 | 16 | 11 | 29—34 | 38 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 37 | 14 | 9 | 14 | 32—39 | 37 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 38 | 12 | 13 | 13 | 32—39 | 37 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 37 | 12 | 12 | 13 | 40—36 | 36 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 39 | 14 | 8 | 17 | 43—55 | 36 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 37 | 11 | 13 | 13 | 42—35 | 35 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 38 | 12 | 11 | 15 | 47—47 | 35 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 37 | 11 | 13 | 13 | 31—32 | 35 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 38 | 12 | 11 | 15 | 32—38 | 35 |
| „სტროიტელი" (უფა) | 38 | 11 | 11 | 16 | 39—51 | 33 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 38 | 6 | 18 | 14 | 31—45 | 30 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 38 | 7 | 14 | 17 | 29—56 | 28 |
| „თერგი" (გროზნო) | 38 | 8 | 12 | 18 | 42—58 | 28 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 37 | 6 | 11 | 20 | 23—54 | 23 |

# საქართველოს ჩემპიონატი

## გათამაშების ცხრილები

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

I ზონა

საბოლოო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შრ. რეზერვები" (გარდაბანი) | 26 | 21 | 3 | 2 | 59—21 | 45 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 26 | 19 | 5 | 2 | 61—19 | 43 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 26 | 15 | 3 | 8 | 46—35 | 33 |
| „მევენახე" (ვაზისუბანი) | 26 | 12 | 7 | 7 | 46—36 | 31 |
| „თრიალეთი" (წალკა) | 26 | 11 | 7 | 8 | 36—28 | 29 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 26 | 11 | 4 | 11 | 31—42 | 26 |
| „ვარძია" (ასპინძა) | 26 | 11 | 3 | 12 | 26—38 | 25 |
| „შირაქი" (წითელწყარო) | 26 | 11 | 2 | 13 | 34—48 | 24 |
| „ბახტრიონი" (ახმეტა) | 26 | 9 | 3 | 14 | 27—37 | 21 |
| „აბული" (ახალქალაქი) | 26 | 8 | 4 | 14 | 28—37 | 20 |
| „ელმავალმშენი" (თბილისი) | 26 | 9 | 2 | 15 | 29—39 | 20 |
| „ზემო ქართლი" (ხაშური) | 26 | 6 | 7 | 13 | 27—28 | 19 |
| „ბარისი" (თეთრი წყარო) | 26 | 7 | 4 | 15 | 25—60 | 18 |

II ზონა

მდგომარეობა 1 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 22 | 15 | 4 | 3 | 59—16 | 34 |
| „განთიადი" (აბაშა) | 23 | 13 | 8 | 2 | 28—10 | 34 |
| „კოლხეთი" (ხობი) | 23 | 13 | 7 | 3 | 32—17 | 33 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 24 | 9 | 10 | 5 | 28—22 | 28 |
| „განახლება" (ადიგენი) | 23 | 10 | 5 | 8 | 28—29 | 25 |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 21 | 10 | 4 | 7 | 29—24 | 24 |
| „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) | 25 | 8 | 7 | 10 | 19—20 | 23 |
| „დინამო" (ოჩამჩირე) | 23 | 7 | 9 | 7 | 17—20 | 23 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 22 | 8 | 6 | 8 | 28—30 | 22 |
| „ელექტრიკოსი" (ქუთაისი) | 24 | 6 | 8 | 10 | 22—37 | 20 |
| „ჩიხურა" (საჩხერე) | 23 | 6 | 8 | 9 | 21—36 | 20 |
| „ხაირმე" (მაიაკოვსკი) | 24 | 5 | 6 | 13 | 23—44 | 16 |
| „კოლხეთმშენი" (ფოთი) | 22 | 6 | 2 | 14 | 22—46 | 14 |

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

## საქართველოს ნაკრები—ყველაზე ტექნიკური გუნდი

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ საქართველოს ჭაბუკმა ფეხბურთელებმა გამარჯვება მოიპოვეს „იმედის თასის" საკავშირო გათამაშებაში.

ტურნირის ფინალურ მატჩებში დაწესებული იყო რამდენიმე ინდივიდუალური და კოლექტიური სპეციალური პრიზი. საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი მიიღო საქართველოს ნაკრების წევრმა მელაძემ. ტურნირის უველაზე შედეგიანი ფეხბურთელები იყვნენ კვანტალიანი (საქართველო) და პროკუდინი (მოსკოვი).

ჟიურიმ ყველაზე ტექნიკურ გუნდად მიიჩნია საქართველოს ნაკრები.

# დღეს ფინალია

## „დილა" (გორი) — „გურია" (ლანჩხუთი)

საქართველოს „ბ" კლასის ფეხბურთელთა გუნდები ყოველწლიურად მონაწილეობენ გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. შავგულიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშებაში.

წლევანდელი ტურნირის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს გორის „დილამ" და ლანჩხუთის „გურიამ". ვეტერანის მემორიალის ფინალური მატჩი შედგება დღეს თბილისის „სინათლის" სტადიონზე (ავჭალის გზატკეცილი). „დილა" და „გურია" ერთმანეთს შეხვდებიან 15 საათზე.

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

ინგლისი. ეროვნულ ჩემპიონატს ჰყავს ერთბაშად 3 ლიდერი: „ლივერპული", „ევერტონი" და „ლიდსი". თვითეულ მათგანს აქვს 23 ქულა. ლიდერებს 1 ქულით ჩამორჩება ლონდონის „არსენალი".

ჩეხოსლოვაკია. ტრნავის „სპარტაკმა" განვლილ ტურში განცდილი მარცხის მიუხედავად (კოშიცეს „ლოკომოტივთან" — 0:2) შეინარჩუნა მოწინავე პოზიცია გათამაშების ცხრილში. სპარტაკელებს 10 ქულა აქვთ. ამდენივე ქულით, ოღონდ ბურთების უარესი შეფარდებით II ადგილზეა „ბანიკი" (ოსტრავა).

საფრანგეთი. „რედ სტართან" მოგებული მატჩის შემდეგ ჩემპიონატის სათავეშია „ბორდო" — 14 ქულა. შარშანდელი ჩემპიონი „სენტ-ეტიენი" II-III ადგილებს იყოფს „ლიონთან" (13 ქულა თითოეულს).

ბელგია. აქაური ეროვნული პირველობის გათამაშებაში ასეთი მდგომარეობაა: „შარლერუა" — 13 ქულა, „სტანდარდი" — 12, „ბრიუგე" და „ანდერლეჰტი" — 9-9.

# მოკლედ

● ბელგრადი. აქ გამოცხადდა, რომ გადადგა იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი ბ. სტანკოვიჩი. იგი ამიერიდან ათენის აეკ-ის მწვრთნელი იქნება.

● ნეაპოლი. როგორც ცნობილი გახდა, ო. სივორი აპირებს უკანასკნელი სეზონი ჩაატაროს „ნაპოლის" შემადგენლობაში, რის შემდეგ ფეხბურთს თავს ანებებს.

● ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიული ფეხბურთი მძიმე კრიზისით შეხვდა თავისი არსებობის 2 წლისთავს. პროფესიული კლუბების 70 პროცენტი დიდ ფინანსურ დეფიციტს განიცდის.

● პარიზი. განთქმული ფრანგი სნაიპერი, შემდეგში კი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჟ. ფონტენი ახლა სათავეში ჩაუდგა პატარა ქალაქ ლუშონის გუნდს, რომელიც საფრანგეთის II ლიგაში გამოდის.

● მანჩესტერი. ჯ. ბესტს („მანჩესტერ იუნაიტედი") ადგილობრივმა სასამართლომ 6 თვით ჩამოართვა ავტომანქანის მართვის უფლება. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ამ თავდამსხმელს დაუშვებელი სიჩქარით მიჰყავდა თავისი მანქანა.




სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ჩემპიონატი ფინიშის სწორზე გავიდა. ყველა თანრიგში გამოვლინდნენ ფინალისტები. ვაჟთა ფინალში გასვლისთვის დაძაბული ბრძოლა გადახდათ გუშინწინ ვ. ეგოროვსა და თ. ლეიუსს. ერთიცა და მეორეც ა. მეტრეველის შემდეგ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჩოგბურთელებად ითვლებიან და, ბუნებრივია, მათი ორთაბრძოლა უშეღავათო გამოდგა. ამ შეხვედრაში საუცხოო მებრძოლური თვისებები გამოამჟღავნა ლეიუსმა და გაიმარჯვა კიდეც — 9:7, 2:6, 1:6, 7:5, 6:3.

მეორე ფინალისტია მეტრეველი. ამ ჩემპიონატში თბილისელი ყველა შეხვედრას იოლად იგებს. ასე მოხდა ამჯერადაც — ნახევარფინალში. მან სწრაფად, თანაც დამაჯერებელი ანგარიშით მოუგო ს. ლიხაჩოვს — 6:2, 6:3, 6:1.

ქალთა ერთეულების ფინალისკენ გ. ბაკშეევამაც იოლად გაიკაფა გზა. ნახევარფინალში მან ტ. სიმსონი დაამარცხა (6:3, 6:2) და ფინალში ტ. კივის შეხვდება. ჩვენ უკვე ვწერდით, რომ თბილისში მიმდინარე ჩემპიონატში პირველი სენსაციის ავტორად მოგვევლინა რ. ისლანოვა, რომელმაც მეოთხედფინალში ძლიერ მეტოქეს — ო. მოროზოვას დააყრევინა ფარ-ხმალი. ისლანოვა კივისთან შეხვედრაშიც ახლოს იყო გამარჯვებასთან (გადამწყვეტ, მესამე პარტიაში თითქმის მოგე-

# ოსტატობა, სიდინჯე

ბის ტოლ სხვაობას მიაღწია — 5:1), მაგრამ სწორედ ამ დროს გამოავლინა კივიმ საოცარი ნებისყოფა, ოსტატობა, სიდინჯე, გონებამახვილობა და თავის სასარგებლოდ გადახარა სასწორი — 8:6. პირველი პარტია ფინალისტმა წააგო (2:6), ხოლო მეორე ასეთივე ანგარიშით მოიგო.

შერეულ წყვილებში ფინალისტები არიან მოროზოვა, მეტრეველი და ბაკშეევა, ლეიუსი. მოროზოვამ და მეტრეველმა ნახევარფინალში დაამარცხეს ე. იზოპაიტისი და ბ. ლუნინი — 6:2, 6:2, ხოლო ბაკშეევამ და ლეიუსმა — რ. აბჟანდაძე და რ. სივოხინი — 6:4, 6:2.

მ. ქავთარია.

## გუშინ...

გაიმართა ფინალური შეხვედრები ქალთა და ვაჟთა წყვილების თანრიგებში. ვაჟთა წყვილებში ჩემპიონობა მოიპოვეს მეტრეველმა და ლიხაჩოვმა. მათ დაამარცხეს ლეიუსი და ეგოროვი — 4:6, 6:4, 6:3, 6:2. ქალთა წყვილების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოროზოვა, თ. ჩალკო და ბაკშეევა, მ. ჩუვირინა. გამარჯვება იზეიმეს ბაკშეევამ და ჩუვირინამ — 1:6, 6:3, 6:3. III-IV ადგილებისთვის შეხვდნენ ისლანოვა, ივანოვა (თბილისი) და ერემეევა, კრიუჩკოვა. აქ იმარჯვეს ისლანოვამ და ივანოვამ — 6:4, 6:1. გამოვლინდნენ, აგრეთვე, ქალთა და ვაჟთა ერთეულებში III-IV ადგილების მფლობელნი. ამ ადგილებისთვის ქალებში იბრძოდნენ ისლანოვა და სიმსონი. გაიმარჯვა და ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა ისლანოვა—6:3, 3:6, 6:4. ვაჟებში III საპრიზო ადგილი წილად ხვდა ლიხაჩოვს, რომელმაც დაამარცხა ეგოროვი — 2:6, 6:1, 6:0, 8:6.

# თუ გამოიცნობ, მკითხველო?



1

ვინ არის აღბეჭდილი ამ ფოტოზე, სპორტის რომელი სახეობის წარმომადგენელია იგი, სად და რას აკეთებს სურათის გადაღებისას?

რედაქცია ასეთი შეკითხვებით მოგმართავს, მკითხველო. იმედია, დაინტერესდები და პასუხს 10 დღის ვადაში გამოგვიგზავნი. ჩვენ გამოვაქვეყნებთ იმ მკითხველთა გვარებს, რომლებიც სწორად „გახსნიან" ამ ფოტოგრაფიას. მერე კი ჩვენი პასუხიც დაიბეჭდება.

## ახალი ამბები

● **რიგა,** 1 ნოემბერი. ახალგაზრდა არმიელ ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატში მძიმე წონის ლვოველმა ათლეტმა ვ. კრიშჩიშინმა აჰიმა 118.5 კგ, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია მოზრდილთა შორის. ძველი მიღწევა მასვე ეკუთვნოდა და 1,5 კგ-ით ნაკლები იყო.

● **ვილნიუსი, 1 ნოემბერი.** აქ დამთავრდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებისა და ბელორუსიის დედაქალაქების კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი. გაიმარჯვეს რიგელებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ტალინელი, ვილნიუსელი და მინსკელი სპორტსმენები.

**კრივი**

## ალი ეძებს მეტოქეს

როზორტ კოლუმბუსში (ოჰაიოს შტატი) გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, 11 ნოემბრიდან ამ ქალაქში კვლავ იწყებს გამოსვლებს მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მოჰამედ ალი (კასიუს კლეი). აღსანიშნავია, რომ ზ. ფოლეისთან მსოფლიო პირველობაზე თავისი უკანასკნელი ოფიციალური ბრძოლის შემდეგ მოჰამედ ალიმ 10 კგ მოიმატა.

ახლა ალი თავის მომავალ მეტოქეს ეძებს. ასეთებად ასახელებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ფ. პატერსონს, აგრეთვე, ბ. მატისს, ა. ლევისსა და ლ. მერინს.

## ჰ. კუპერი — ჩემპიონი

ლონდონში გაიმართა მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი ევროპის პირველობაზე. ერთმანეთს შეხვდნენ კონტინენტის ჩემპიონი კ. მილდენბერგერი (გფრ) და ჰ. კუპერი (ინგლისი).

მატჩი დამთავრდა კუპერის გამარჯვებით, რომელიც ევროპის ახალი ჩემპიონი გახდა.

## ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

40 წლის წინათ გადაღებული ეს ფოტოსურათი ისტორიის კუთვნილებაა. 1928 წელს თბილისის ქალთა II პირველობაში კვლავ ისახელა თავი ვენის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ელენე ზაუტაშვილმა, რომელმაც შეინარჩუნა დედაქალაქის ჩემპიონის სახელი. II ადგილი ხვდა 33 წლის ბარბალე ზარგარიანს, შემდგომში თბილისისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს. სხვათა შორის, ეს ზარგარიანის პირველი წარმატება იყო.

და აი, ჩემპიონატის დამთავრებისას გამარჯვებულებმა სამახსოვროდ სურათი გადაიღეს. ჭადრაკს უსხედან ზაუტაშვილი (მარცხნივ) და ზარგარიანი. იქვე დგანან ოსტატი ნ. სოროკინი და პირველობის მონაწილე, მხატვარი ქსენია გაიკოვიჩი.






## მერვე სერიის პასუხები

**1.** სამჭოთა მოჭიდავეებიდან ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებას ყველაზე ნაკლები დრო (ყველა შეხვედრაში დახარჯული დროის ჯამი) მოანდომა სახელოვანმა ესტონელმა ათლეტმა იოჰანეს კოტკასმა.

1952 წლის XV ოლიმპიურ თამაშებში (ჰელსინკი) თავისუფალი და კლასიკური სტილის საბჭოთა მოჭიდავეებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ დ. ციმაკურიძე (საშუალო წონა) და ა. მეკოკიშვილი (მძიმე), ხოლო ვერცხლის მედალი მოიხვეჭა რ. მამედბეკოვმა (მჩატე). ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს „კლასიკოსებმა": ჩემპიონები გახდნენ ბ. გურევიჩი (უმჩატესი), ი. პუნკინი (ქვემსუბუქი), შ. საფინი (მსუბუქი) და ი. კოტკასი (მძიმე), ვერცხლის მედალს დაეპატრონა შ. ჩიხლაძე (ქვემძიმე), ხოლო III ადგილები დაიკავეს ა. ტერიანმა (მჩატე) და ნ. ბელოვმა (საშუალო). კოტკასმა თავისებური რეკორდიც დაამყარა: ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვებას მოანდომა ყველაზე ნაკლები დრო — სულ 13 წუთი და 36 წამი. პირველ წრეში მას მოწინააღმდეგე (ბელგიელი ა. ბაარენდსი) არ გამოუცხადდა, ყველა დანარჩენი შეხვედრა კი წმინდად მოიგო: ბ. ფალკვისტთან (შვეცია) — 2 წუთსა და 40 წამში, გ. ფანტონთან (იტალია) — 3 წუთსა და 41 წამში, ტ. კოვანენთან (ფინეთი) — 2 წუთსა და 43 წამში, ფინალური შეხვედრა ი. რუჟიჩკასთან (ჩეხოსლოვაკია) — 4 წუთსა და 32 წამში.

ზოგიერთ უახლეს წყაროში შეცდომითაა აღნუსხული, თითქოს აღნიშნული რეკორდი მოხსნა მექსიკის XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში ა. მედვედმა. ეს არაა სწორი — კოტკასის რეკორდი ძალაშია.

**2.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ოლიმპიური ოქროს მედლის დიამეტრი 60 მილიმეტრია, ხოლო სისქე — 3 მმ. იგი მზადდება ვერცხლისგან, რომელიც აუცილებლად მოვარაყებულია 6 გრამი წმინდა ოქროთი. მედლის საერთო წონა არაა დადგენილი, მერყეობს და საშუალოდ 90-93 გრამით იფარგლება.

**3.** პირველი ზანგი სპორტსმენი, რომელიც ოლიმპიურ თამაშებში გამოვიდა (სენტ-ლუისი, 1904 წ.), გახლდათ მძლეოსანი ჯორჯ პოჯი. იგი ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წევრი იყო და asპარეზობდა თარჯრბენში 200 და 400 მ მანძილებზე და ორივეჯერ ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა.

**4.** თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ოლიმპიური ცეცხლი პირველად აინთო ბერლინის XI ოლიმპიადაზე, 1936 წელს.

**5.** ოლიმპიური ჩემპიონები, რომელთაც სიცოცხლეშივე დაედგათ ძეგლი, არიან: ფინელი მძლეოსანი ხანეს კოლეჰმაინენი — 1912 და 1920 წლების ოლიმპიური თამაშების მონაწილე (ძეგლი დგას მისსავე სამშობლო ქალაქ კუოპიოში), ფინელი მძლეოსანი პაავო ნურმი — 1920, 1924 და 1928 წლების ოლიმპიური თამაშების მონაწილე (ძეგლი დგას ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონთან), ნორვეგიელი მოთხილამურე ტორლეიფ ჰაუგი — 1924 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (ძეგლი დგას მისსავე სამშობლო ქალაქ კონსბერგში).

**6.** სპორტსმენები — ერთი ოჯახის წევრები, რომელთაც ყველაზე მეტი მედალი აქვთ მოხვეჭილი, შვეციის მკვიდრნი არიან — მსროლელები, მამაშვილი ოსკარ და ალფრედ სვანები. ისინი გამოდიოდნენ 1900, 1904, 1908, 1912, 1920 და 1924 წლების ოლიმპიურ თამაშებში. ოსკარმა და ალფრედმა სულ 17 ოლიმპიური ჯილდო მოიპოვეს, აქედან ოქროს 8, ვერცხლის 4 და ბრინჯაოს 5 მედალი.

**7.** პირველი შემთხვევა ოლიმპიური თამაშების ისტორიიდან, როდესაც ასპარეზობის საზეიმო გახსნისას თავისი ქვეყნის ეროვნული დროშა სპორტსმენ ქალს მოჰქონდა, მოხდა 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადაზე. გერმანიის სპორტსმენებს წინ მიუძღოდა ტანმოვარჯიშე ანიტა ბერვირტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბერვირტმა ამ ოლიმპიადაში მოიხვეჭა ოქროს მედალი გუნდური I ადგილისთვის (ქალებში პირადი პირველობა არ გათამაშებულა).

**8.** XIX ოლიმპიადის მასპინძელი მექსიკა ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობს 1924 წლიდან (VIII ოლიმპიადა, პარიზი). თვალსაჩინო წარმატებას მექსიკელებმა მიაღწიეს 1948 წელს, ლონდონში. მაშინ მათ 5 ოლიმპიური მედალი მოიპოვეს (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 2 ბრინჯაო). ახლახან დამთავრებულ ოლიმპიადაში მექსიკელებმა საკუთარი რეკორდი საგრძნობლად გააუმჯობესეს (3 ოქრო, 3 ვერცხლი, 3 ბრინჯაო).

**9.** XIX ოლიმპიური თამაშების წინ მექსიკაში გამოშვებულ იქნა 25 პესოს ღირებულების ვერცხლის ფულის ერთეული. საერთოდ, ფულის ნიშნებზე ამ უძველეს სპორტულ თამაშობათა ასახვის ტრადიცია იწყება ჰელსინკის XV ოლიმპიური თამაშებიდან.

**10.** 1912 წელს, სტოკჰოლმში, V ოლიმპიურ თამაშებში შვედმა მსროლელებმა, ტყუპმა ძმებმა ერიკ და ვილჰელმ კარლბერგებმა მოიპოვეს ოქროს მედლები. იმავე ოლიმპიადაში თავი ისახელა ტყუპ ძმათა მეორე წყვილმა — ბელგიელმა მოფარიკავეებმა პოლ და ანრი ანსპახებმა, რომლებმაც ოლიმპიური ოქრო მოიპოვეს გუნდურ ასპარეზობაში.

* * *

კონკურსში დაწინაურებულთა გვარები გამოქვეყნდება მეცხრე სერიის კითხვებთან ერთად ხუთშაბათს, 7 ნოემბერს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# გამოიწერეთ 1969 წლისთვის!



## საინტერესო, პოპულარული...

ჟურნალი „სპორტივნიე იგრი" მხოლოდ 14 წელია გამოდის, მაგრამ მას უკვე ბევრი პატივისმცემელი და ხელისმომწერი ჰყავს. მკითხველების აზრით, ჟურნალი პოპულარული, საინტერესო და აქტუალურია, ეს კი ყველაზე მაღალი, სასიამოვნო შეფასებაა. ამ ჟურნალის ფურცლებზე წარმოდგენილია ფეხბურთი, შაიბიანი ჰოკეი, ბალახის ჰოკეი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, რეგბი, წყალბურთი, ხელბურთი, ბადმინტონი, რიკაობა.

ჟურნალი მოგვითხრობს წვრთნისა და სწავლების მეთოდიკის სიახლეებზე, მნიშვნელოვან სპორტულ მოვლენებზე, გამოჩენილ სპორტსმენებსა და მწვრთნელებზე, გუნდებზე, სპორტულ სექციებსა და ფიზკულტურულ კოლექტივებზე, სპორტული თამაშების წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ამ ჟურნალის ფურცლებზე გამოვა ბევრი ცნობილი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი, სპორტული ჟურნალისტი. მათ შორის იქნებიან სპორტის დამსახურებული ოსტატები, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელები ა. ტარასოვი და ა. ჩერნიშოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. და ა. სტაროსტინები, ი. ჩესნოკოვი, ა. ფირსოვი, ა. ხომიჩი, ე. ალექსეევი, ს. სალნიკოვი, გ. ვოლნოვი, ცნობილი სპორტული ჟურნალისტები ლ. ფილატოვი, ა. გალინსკი, ი. ბარუ, ს. ბლიზნიუკი, ა. ვიტი...

1969 წელს ჟურნალი დაარსების 15 წლისთავს აღნიშნავს. ეს საიუბილეო თარიღი არ არის, მაგრამ ჟურნალისთვის მომავალი წელიწადი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. 1969 წელს მის ფურცლებზე დაიბეჭდება მასალები ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებაზე და თვით ამ შეჯიბრების მსვლელობაზე. ვინ გაიმარჯვებს? სჯობს ამ კითხვას თავად მკითხველებმა უპასუხონ. ის, ვინც ჩემპიონატის სამი პრიზიორის ვინაობას წინასწარ გამოიცნობს, ჰოკეის ახალი კონკურსის ლაურეატი გახდება. გაისად ჟურნალში გამოქვეყნდება წერილები კალათბურთელთა, ფრენბურთელთა, წყალბურთელთა ოლიმპიური ტურნირების შედეგებზე. უცხოელ სპორტსმენებზე წერილებს დაბეჭდავს ცნობილი სპორტული მიმომხილველი ო. იურიევი. კერძოდ, მას დავალებული აქვს წერილის დაწერა კანადის პროფესიონალ ჰოკეისტებზე. ერთი სიტყვით, 1969 წელს „სპორტივნიე იგრი" მკითხველს არ მოაკლებს ახალ საინტერესო ნარკვევებს, მოთხრობებს, წერილებსა და კორესპონდენციებს.

გამოიწერეთ ეს საინტერესო და პოპულარული ჟურნალი!

„ფიზკულტურა ი სპორტის" საგაისო გეგმებზე გვიამბობს ჟურნალის მთავარი რედაქტორი ვ. სოზოლევი.



## თქვენი მეგობარი და მრჩეველი

ჟურნალი კვლავ გამოაქვეყნებს მასალებს მკითხველებისთვის საინტერესო ბევრი რუბრიკით. მუდმივი იქნება „ათლეტური ტანვარჯიში" — ვარჯიშების კომპლექსი სხვადასხვა სქესისა და პროფესიის ადამიანებისთვის, გამოცდილი ექიმების, მწვრთნელების, მასაჟისტების რჩევა-დარიგებებს. რედაქციას განზრახული აქვს ეს გაკვეთილები იმგვარად დაგეგმოს, რომ ჟურნალის რჩევები ახალგაზრდა მკითხველებისთვის იქცეს თავისებურ ტრამპლინად ჭიდაობის, მძლეოსნობისა და სხვა სექციებში გადასასვლელად. მეორეს მხრივ, გაძლიერდება კომპლექსების გამაჯანსაღებელი მიმართულება — დაიბეჭდება შინაურ პირობებში გამოსაყენებელი ვარჯიშები. ჟურნალი აღწერს თამაშებსა და სხვა გასართობებს ტურისტული ლაშქრობის დროს, ეზოებსა და პარკებში (რუბრიკები: „ჩვენს ეზოში", „ჯანმრთელობის ზონა". „პარკი-სტადიონი"). ხშირად დაიბეჭდება მასალები მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაკაჟების საშუალებებზე.

განყოფილება „ჯანმრთელობის კოდექსი" მკითხველებს მიაწვდის მასალებს შრომისა და დასვენების სწორ რეჟიმზე, ფიზიკურ წრთობაზე. საწარმოო ტანვარჯიშზე. დაიბეჭდება წერილები მასობრივ ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაზე, ფიზკულტურული კოლექტივების ცხოვრებაზე, არმიელთა სპორტულ კლუბებზე.

ჟურნალი ხსნის სამბისტის დაუსწრებელ სკოლას (სკოლას ხელმძღვანელობას გაუწევს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი ვ. ანდრეევი), შემდეგ — მოთხილამურისა და ფიგურისტის სკოლას.

მწვრთნელები, მეცნიერები, ექიმები, სპორტის ოსტატები და ჟურნალისტები მკითხველებს ესაუბრებიან გრენობლისა და მეხიკოს გაკვეთილებზე, გააცნობენ მათ საუკეთესო საბჭოთა და უცხოელი სპორტსმენების, მწვრთნელების გამოცდილებას, აუხსნიან მათი ოსტატობის საიდუმლოებას. ხშირად დაიბეჭდება რეპორტაჟები დიდი საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებიდან.

ჟურნალის ფურცლებზე გამოვლენ: აკადემიკოსი გ. სპერანსკი, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები — ს. ლეტუნოვი, ა. ლოგინოვი, ვ. ობისოვი, ნ. იაკოვლევი, ა. დრეიცერი, ე. კუდრიავცევი, ნ. მიხაილოვი, ქვეყნის ნაკრები გუნდების მწვრთნელები და ექიმები. გამოცდილებას გაგვიზიარებენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი, ი. ვლასოვი, ე. გრიშინი, ა. კოლჩინა, ლ. ლატინინა, ქ. ლოკტევი, ა. მაზური, ი. ნეტო, ა. სტაროსტინი, ა. ტარასოვი, ძალოსნობის სპეციალისტები ს. ბაღდასაროვი, რ. მოროზი და სხვ.

პოლემიკური წერილებით, მოთხრობებით, ლექსებით გამოვლენ დრამატურგი ა. არბუზოვი, მწერლები ლ. კასილი, ა. კულეშოვი, ი. ნაგიბინი, ი. ტრიფონოვი, პოეტები ქ. ვანშენკინი, ო. დმიტრიევი, ა. მეჟიროვი, ს. ნაროვჩატოვი, რ. როჟდესტვენსკი.

მუდმივი იქნება გვერდები: „ჩვენ გვწერენ", „საუბარი მკითხველთან", „ოსტატის რჩევა-დარიგებები".

ჟურნალი გვასწავლის, ჩვენი ხელით როგორ გავაკეთოთ უმარტივესი სპორტული ინვენტარი, როგორ მოვაწყოთ სპორტული მოედანი, საციგურაო, როგორ ავარჩიოთ თხილამურები და სხვ.

ჟურნალი მრავალფეროვანი იქნება ჟანრობრივადაც. დიდი ადგილი დაეთმობა ფელეტონს, მიმოხილვას, ნარკვევს, კრიტიკულ მასალებს, იუმორს.

ერთი სიტყვით, ჟურნალი ეცდება იყოს ფიზკულტურისა და სპორტის ყოველი მოყვარულის ერთგული მეგობარი და მრჩეველი.

გამოიწერეთ ჟურნალი „ფიზკულტურა ი სპორტი"!

ხელმოწერის ფასია: ერთი თვით — 30 კაპ., ერთი წლით — 3 მან. 60 კაპ.

ხელმოწერა შეუზღუდავია.




## კარგი მეგზური

ყოველ ხუთშაბათ დილას „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში იყიდება ყოველკვირეული „პროგრამი რადიო ი ტელევიდენია".

თავის ორმოც გვერდში ყოველკვირეული წინასწარ გვიამბობს ეთერის პრემიერებზე, საუკეთესო სპექტაკლებსა და ფილმებზე, კონცერტებსა და პუბლიცისტურ გამოსვლებზე. იგი გვიამბობს ქვეყნის ყველა რესპუბლიკის და, რა თქმა უნდა, საქართველოს ცხოვრებაზე, აქვეყნებს საინტერესო ფოტოსურათებსა და ფოტორეპორტაჟებს.

ჟურნალი დაგეხმარებათ თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის ყველაზე საინტერესო გადაცემების ამორჩევაში. იგი მარტო გზამკვლევი როდია, ერთგვარი ცნობარიცაა. იგი შენიშვნებითა თუ ნარკვევებით ამდიდრებს მასალას, რომელსაც თქვენ ეთერში ნახავთ ან მოისმენთ. სწორედ ესაა ჟურნალის თავისებურება. ყოველკვირეული აქვეყნებს მოთხრობებს, ლექსებს, ტელე და რადიოსცენარების ნაწყვეტებს, იუმორესკებს, საბავშვო ზღაპრებს. ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიბეჭდება ბევრი საინტერესო კომენტარი სხვადასხვა დარგის მრავალ საკითხზე. მასალები საერთაშორისო პრობლემებზე, პოლიტიკაზე, თეატრზე, კინოზე, მუსიკასა და სპორტზე. დაიბეჭდება ტანვარჯიშის ყველა რადიო და ტელეკომპლექსი.

1969 წლისთვის ამ ჟურნალის გამოწერა კავშირგაბმულობის ყველა განყოფილებაში შეიძლება. ერთი ნომრის ფასია 6 კაპ., ერთი წლით ხელმოწერის ფასი — 3 მან. 12 კაპ. ჟურნალ-გაზეთების კატალოგში „პროგრამი რადიო ი ტელევიდენიას" ინდექსია 70746 (424-ე გვ.).

## ჭადრაკის სპეციალისტებისა და მოყვარულთათვის

„შახმატი ვ სსსრ" საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძველესი ჟურნალია. იგი 1921 წლიდან გამოდის.

„ცხრა მთას იქით აღარაა ის დრო, როცა რუსეთის საჭადრაკო ხელოვნება, აღორძინებული ყველა მისი მოწაფისა და მასწავლებლის ერთსულოვანი შრომით, საპატიო ადგილს დაიკავებს მომავალ მსოფლიო შეჯიბრებათა სარბიელზე", — ნათქვამი იყო ჟურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილ სარედაქციო წერილში. ეს სიტყვები გამართლდა. სსრ კავშირი მსოფლიო საჭადრაკო სახელმწიფოდ იქცა, საბჭოთა მოჭადრაკეები კი მსოფლიოში პირველობას არ თმობენ. ამ მიღწევებში გარკვეული წვლილი მიუძღვის საჭადრაკო ჟურნალსაც, როგორც ჭადრაკის კულტურის პროპაგანდისტს. ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილები საბჭოთა დიდოსტატთა და ოსტატთა თაობებს დახმარებია.

ახლა ამ ჟურნალში მოღვაწეობს მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი მოჭადრაკე: ტ. პეტროსიანი, მ. ბოტვინიკი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი, ბ. სპასკი, ვ. კორჩნოი, ე. გელერი, ბევრი სხვა უძლიერესი დიდოსტატი თუ ოსტატი.

ჟურნალი ჭადრაკის მოყვარულთა ყველაზე ფართო მასებისთვისაა განკუთვნილი. იგი მკითხველს რეგულარულად გააცნობს ყველა საინტერესო საჭადრაკო შეჯიბრების შემოქმედებით შედეგებს, დაბეჭდავს საუკეთესო პარტიებს. მაგალითად, 1969 წელს ჟურნალში ცნობილ თეორეტიკოსთა კომენტარებით გამოქვეყნდება მსოფლიო პირველობაზე მატჩის ყველა პარტია.

ჟურნალი დიდად შეუწყობს ხელს ჭადრაკის მოყვარულებს, რომელთაც დაოსტატება სურთ. მათთვის შექმნილია „საჭადრაკო ოსტატობის სკოლა", რომელსაც მოწინავე მწვრთნელები და მეთოდისტები ხელმძღვანელობენ. ამავე მიზანს ემსახურება განყოფილებები „დაეუფლეთ კომენტარებს" და „თქვენი სვლაა". ჭადრაკის ახალბედებისთვის შემოღებულია განყოფილება „ნაბიჯ-ნაბიჯ".




ჟურნალი ყურადღებით ადევნებს თვალს ქვეყნის საჭადრაკო ცხოვრებას, მკითხველს გააცნობს კლუბებისა და ძირეულ კოლექტივებში არსებული წრეების გამოცდილებას, უამბობს საუკეთესო აქტივისტებზე.

მათთვის, ვისაც საჭადრაკო ხელოვნების მწვერვალთა დაპყრობა სურს, გამოდის ჟურნალი „შახმატნი ბიულეტენი". აქ იბეჭდება ბოლო შეჯიბრებათა დებიუტების მიმოხილვა, ახალი გამოკვლევები და სხვ.

ყოველ ნომერში დამოუკიდებელი ანალიზისთვის დაიბეჭდება 150-მდე პარტია.

გამოიწერეთ ჟურნალები „შახმატი ვ სსსრ" და „შახმატნი ბიულეტენი". ხელმოწერას იღებს „სოიუზპეჩატის" ყველა განყოფილება. ხელმოწერის ფასია:

„შახმატი ვ სსსრ": 1 წლით — 4 მან. 80 კაპ., 6 თვით — 2 მან. 40 კაპ., 3 თვით — 1 მან. 20 კაპ.

„შახმატნი ბიულეტენი": 1 წლით — 6 მან., 6 თვით — 3 მან., 3 თვით — 1 მან. 50 კაპ.